

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

სივრცით -ტერიტორიული

დაგეგმვის გეგმარებითი დავალება

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული გეგმის გეგმარებითი დავალება შემუშავებულია “სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების” საქართველოს კანონის მე-7, მე-17 და 22-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებთან შეთანხმებისა და წინასწარ ჩატარებული კვლევებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.

გეგმარებითი დავალების მიზანია სივრცითი ტერიტორიული მოწყობის სქემით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის დადგინდეს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის:

- მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნისათვის;
- მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდისათვის;
- კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ტურიზმის განვითარებისათვის;
- მუნიციპალიტეტის რეგიონალური და ქვეყნის სტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის.

მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული გეგმა უნდა ითავსებდეს როგორც ქალაქგეგმარებით ასევე დაგეგმარების პროცესებს. დარგობრივი გეგმები და პროექტები, რომელიც მოახდენს სივრცით-ტერიტორიული განვითარების პოლიტიკის ფორმირებას რეგიონის ტერიტორიისათვის.

მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა უნდა შედგებოდეს ტექსტური და გრაფიკული ნაწილებისაგან. გრაფიკული ნაწილი უნდა იყოს წარმოდგენილი რუკების სახით და აკმაყოფილებდეს დადგენილ კარტოგრაფიულ სტანდარტებს. სივრცითი მოწყობის სქემის ტექსტური და გრაფიკული ნაწილი, მათი განახლების, დაცვისა და მრავალმხრივი გამოყენების მიზნით, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს ციფრული ვერსიით.

სივრცითი მოწყობის სქემის გეგმარებითი დავალების პირობების შედგენის სახელმძღვანელო პრინციპებია:

- შეიქმნას დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების გაწონასწორებული სტრუქტურა, კერძოდ, თანაბარი ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური და კულტურული განვითარების ტერიტორიული წინაპირობები;
- განხორციელდეს რეგიონული და სუბრეგიონული კავშირების გეგმარებითი უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოფილ იქნეს ინფრასტრუქტურის შესაბამისობა დასახლებათა და დაუსახლებელი ტერიტორიების სტრუქტურასთან; მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დაცულ იქნას პარიტეტულობა კომუნიკაციების ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით;
- დასახლებათა განვითარება ორიენტირებულ იქნას ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებაზე; სატრანსპორტო მომსახურების ეფექტიანობა გაიზარდოს ადეკვატური სატრანსპორტო არტერიებისა და კვანძების შექმნით; პრიორიტეტი მიენიჭოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას;
- უზრუნველყოფილ იქნას დასახლებათა, მათ შორის საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრების გეგმარებითი სრულყოფა; მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს მუნიციპალიტეტის ფარგლებში ახალი აქტიურად განვითარებადი ბირთვის შესაძლო წარმოშობას, შემდგომში მნიშვნელოვან ცენტრად ჩამოყალიბების მიზნით.

- სასოფლო დასახლებები განვითარდეს ინტენსიურად, ქალაქებთან თანაბარუფლებიანი და პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე;
- შენარჩუნდეს და განვითარდეს დაუსახლებელი ტერიტორიების სისტემა; უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება და დაცვა;
- მაქსიმალურად შემსუბუქდეს ინფრასტრუქტურის გავლენა გარემოზე; ინფრასტრუქტურას ჰქონდეს პოზიტიური ეფექტი იმ ტერიტორიებისათვის, სადაც განთავსებულია;
- ზღვის სანაპირო ზოლის დეგრადაციული პროცესების შეჩერება;
- მდინარეთა კალაპოტებისა და ნაპირების დაცვა;
- შენარჩუნდეს და განვითარდეს ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. უზრუნველყოფილ იქნას მუნიციპალიტეტის ტერიტორიების მაქსიმალურად ჩაბმა რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარებაში.
- ხელი შეეწყოს ინვენსტიციების მოზიდვას, დასაქმებასა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დარეგულირდეს განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში მიგრაციის საკითხები.
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა განხილულ იქნას, როგორც მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი;
- შენარჩუნდეს ისტორიული და კულტურული კავშირები; კულტურული ლანდშაფტები მათი დამახასიათებელი ნიშნებით, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლებით;
- შენარჩუნდეს და განვითარდეს სარეკრეაციო ტერიტორიები;
- უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა დარგობრივი გეგმების და დაგეგმვის სხვადასხვა იერარქიულ დონეებზე შესრულებული გეგმების თავსებადობა;
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას საჯაროობა;
- ტერიტორიის ჯეროვანი განვითარებისა და ორგანიზების უზრუნველყოფის მიზნით ხელი შეეწყოს სახელმწიფო და კერძო სუბიექტების ინტერესების ურთიერთშეთანხმებას.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმა უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

1. შესავალი:

- 1.1. სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გეგმის აღწერა;
- 1.2. განმარტებითი ბარათი;
- 1.3. ეფექტიანობის შეფასება;
- 1.4. განხორციელების ეტაპები და რიგითობა;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება:

- 2.1. ზოგადგეოგრაფიული მიმოხილვა;
- 2.2. განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა;
- 2.3. ტოპონიმია, (რომელიმე ადგილის გეოგრაფიულ სახელთა (დასახლებული პუნქტების, მდინარეების, მთების და მისთანების სახელთა) ერთობლიობა.
- 2.4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები;
- 2.5. მუნიციპალიტეტის ადგილი რეგიონსა და ქვეყნის განსახლების სისტემაში;
- 2.6. დემოგრაფიული მონაცემები;

2.7. ბუნებრივ-კლიმატურ მაჩვენებლები;

2.8. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების მონაცემები და ეკონომიკური დინამიკა;

2.9. სხვა ზოგადი მონაცემები;

2.10. რეგიონის განვითარების არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი;

3. სივრცის კატეგორიები:

ტექსტური ნაწილი:

სივრცის კატეგორიების აღწერა/დახასიათება, მათ შორის:

3.1. ურბანიზებული ტერიტორია;

3.2. სასოფლო ტერიტორია;

3.3. ბუნებრივ-ლანდშაფტური, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორია;

3.4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონები;

3.5. სამრეწველო ზონები (მათ შორის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები);

3.6. სპეციალური ტერიტორიები (მათ შორის სასაფლაოები);

3.7. განახლებადი ენერჯის გამომუშავების ტერიტორიები;

3.8. სამხედრო დანიშნულების ტერიტორიები;

3.9. მოწყვლადი და დეპრესიული ტერიტორიები;

3.10. გეოლოგიურად აქტიური ტერიტორიები.

გრაფიკული ნაწილი:

3.11. არსებული და პერსპექტიული სივრცის კატეგორიების რუქები;

3.12. განსაკუთრებული სივრცით-ტერიტორიული რეგულირებისა და განვითარების შეზღუდვის ტერიტორიების რუქები;

4. განსახლებისა და დასახლებათა სტრუქტურა და განვითარების ცენტრების

იერარქია:

ტექსტური ნაწილი:

4.1. განსახლებისა და დასახლებათა არსებული სტრუქტურის აღწერა და განვითარების არსებული ვითარება;

4.2. განსახლებისა და დასახლებათა უახლესი და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა, მათ შორის მიწათსარგებლობისა და განაშენიანების ძირითადი ასპექტები;

4.3. ეკომიგრაციის რეკომენდაციები;

4.4. მრავალკრიტერიუმის ანალიზის შედეგად მიღებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით განვითარების ცენტრების იერარქია;

4.5. სანაპირო ზოლის დასახლებული პუნქტების „მეხუთე ფასადის“ (ხედი ზღვიდან, ხედი მთიდან) კონცეფცია;

4.6. მუნიციპალიტეტის დასახლებათა ინტეგრაცია რეგიონის ცენტრის მიმართ და მუნიციპალური ცენტრის განვითარება.

4.7. განსახლების ერთიანი სისტემის ურბანული კონცეფცია;

გრაფიკული ნაწილი:

4.8. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების რუკები;

4.9. მუნიციპალიტეტის თემებისა და მასში შემავალი სოფლების რუკები;

4.10. განვითარების ცენტრების სქემები;

5. ძირითად საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციები:

ტექსტური ნაწილი:

საინჟინრო-ტექნიკური კომუნიკაციების აღწერა-დახასიათება, მათ შორის:

- 5.1. კავშირგაბმულობა;
- 5.2. წყალსადენ-კანალიზაცია;
- 5.3. სანიაღვრე არხები;
- 5.4. მელიორაციის სისტემები;
- 5.5. გაზიფიკაცია;
- 5.6. ელექტროფიცირება;

სატრანსპორტო კომუნიკაციების აღწერა-დახასიათება, მათ შორის:

- 5.7. საავტომობილო ტრანსპორტის (საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი მაგისტრალეები და ადგილობრივი მნიშვნელობისა და სასოფლო გზები);
- 5.8. სარკინიგზო ტრანსპორტის;
- 5.9. საზღვაო ტრანსპორტის;
- 5.10. საჰაერო მიმოსვლის;
- 5.11. საბაგირო ტრანსპორტის;

ძირითად საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციების გაფართოების, მოდერნიზაციის, მდგრადი ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფცია და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, მათ შორის:

- 5.12. შემოვლითი გზები (ნატანები-ქობულეთი, ქობულეთი-ბობოყვათი-შუაღელე-სახალვაშო);
- 5.13. ინტეგრირებული სატრანსპორტო კვანძ(ებ)ი;
- 5.14. მაგისტრალეებისა და გზების ინფრასტრუქტურის მოწყობა/განვითარების მიმართულებები;
- 5.15. საზღვაო ტურისტული ტრანსპორტის განვითარება ქობულეთის სანაპირო ზოლში.
- 5.16. მაღალმთიან ზონებში როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო ბაგირგზების შესაძლო მოწყობა;
- 5.17. მუნიციპალიტეტის გაზიფიკაცია;
- 5.18. წყლის რესურსების მართვა;

5.19. როგორც აუცილებელი პირობა - გამწმენდი ნაგებობების მოწყობა როგორც მსხვილ დასახლებაში, ასევე მცირე დასახლებების ტერიტორიებზე;

5.20. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ორგანიზაცია.

ენერგეტიკის ობიექტები (ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ასპექტების გათვალისწინებით):

5.21. ჰიდროენერგეტიკული ობიექტების ქსელის განვითარება;

5.22. მთიან ზონაში მცირე ჰესების მოწყობისათვის ტერიტორიის მონიშვნა;

5.23. ქარის რესურსების ენერგეტიკის მიზნებისათვის გამოყენების პერსპექტივა;

5.24. მზის ენერჯის გამოყენების პოტენციალი;

5.25. ნარჩენების (მათ შორის საყოფაცხოვრებო) ლოკალური გადამუშავებით ენერჯის მიღების პოტენციალი; ბიოენერჯის გამოყენების სტიმულაცია;

5.26. განახლებადი ენერჯის გამოყენების პერსპექტივის განხილვა;

გრაფიკული ნაწილი:

5.27. არსებული ძირითადი საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციების სქემები;

5.28. ძირითადი საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების სქემები;

5.29. მაგისტრალური ხაზობრივი ნაგებობების მიწის ზოლებისა და მიწის ნაკვეთების მიჩენის სქემები;

6. ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი გეგმარებით ღონისძიებები:

განხილულ იქნას:

6.1. საკურორტო და ტურისტული მიმართულებით მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტთაგან გამომდინარე - სანაპირო ზოლისა და მთების ინტეგრაცია;

6.2. დასახლებების კავშირები რეგიონის სანაპირო საკურორტო ზონის მიმართ:

- ქობულეთი-ჭახათი-ხინოს მიმართულება;
- ჭახათი-ელიას ციხეს მიმართულება;
- ჩაქვი-მტირალას ეროვნული პარკი-ჩაქვისთავის მიმართულება;
- კინტრიშის ხეობის მიმართულება;
- კვირიკე-დაგვას მიმართულება;
- ისპანის ჭაობის მიმართულება;
- თეთროსნის მიმართულება;
- ქობულეთი-ციხისძირის (პეტრას ციხე) მიმართულება;
- ქობულეთი-ალამბარის (მამუკას ციხე) მიმართულება;
- კვირიკე-ბობოყვათის მიმართულება;
- ლეღვა-ქაქუთი-ნაცხავატევის (ცხრაფონას ეკლესია) მიმართულება;

გრაფიკული ნაწილი:

6.3. ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების სქემები;

7. სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიები:

ტექსტური ნაწილი:

7.1. სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიების ასეთად ჩამოყალიბების მიზეზები და პერსპექტიული განვითარების ხედვა;

გრაფიკული ნაწილი:

7.2. სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიების რუკები;

8. დასაქმებისა და საცხოვრებლის განვითარების ადგილები:

ტექსტური ნაწილი:

8.1. „რისკის შემცირების“, „მდგრადობის“, „პრიორიტეტულობის“, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების“ პრინციპების, აგრეთვე, ინტეგრირებული პროგრამებისა და პროექტების გათვალისწინებით დასაქმებისა და საცხოვრებლის განვითარების კონცეფცია;

გრაფიკული ნაწილი:

8.2. დემოგრაფიული კვლევების, მოსახლეობის ზრდის დინამიკის პროგნოზისა და მიგრაციის ანალიზის საფუძველზე შედგენილი დასაქმებისა და საცხოვრებლის პერსპექტიული განვითარების ადგილების რუკები;

9. სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიები:

ტექსტური ნაწილი:

9.1. მუნიციპალიტეტის საკურორტო ადგილებისა და სარეკრეაციო ტერიტორიების დახასიათება;

9.2. რეკომენდაციები საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრების შესახებ;

9.3. ახალი საკურორტო და ბუნებრივ-რეკრეაციული, აგრეთვე ტურიზმის (მათ შორის: სამთო-საკურორტო, ეკო და კულტურული, სპორტული გამაჯანსაღებელი, სპეციფიკურ ინტერესთა და ა.შ.) განვითარების პოტენციალის მქონე ტერიტორიები;

9.4. კლიმატური, ბალნეოლოგიური და სამკურნალო თვისებების მქონე ბუნებრივი რესურსების სხვა ტიპის ტერიტორიების განვითარების პოტენციალი (ახალსოფლის დასახლება, კვირიკე);

9.5. ჰიდრომინერალური რესურსების განვითარების პოტენციალი;

9.6. სარეკრეაციო და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების რეკომენდაციები;

9.7. საკურორტო ადგილების, აგრეთვე სარეკრეაციო ზონების და მიმდებარე ტერიტორიების მიწათსარგებლობის პრინციპები;

გრაფიკული ნაწილი:

9.8. საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების საზღვრების სქემები;

9.9. სამკურნალო თვისებების მქონე ბუნებრივი რესურსების განვითარების ტერიტორიების რუკები;

9.10. სარეკრეაციო და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების ტერიტორიების რუქები;

10. ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების წინაპირობები:

ტექსტური ნაწილი:

10.1. მცენარეული საფარის, ნიადაგების, ფაუნის, მიწის ფონდისა და მინერალური რესურსების აღწერა;

10.2. ბიოლოგიური მრავალფეროვნების, მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნების და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფის რეკომენდაციები;

10.3. ბუნებრივი რესურსების აღდგენის, შენარჩუნების, განვითარების, აგრეთვე სარგებლობის მართვის რეკომენდაციები;

10.4. „ბუნებრივი გარემოსა“ და „ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს“ ცოცხალი და არაცოცხალი, შენარჩუნებული და ადამიანის მიერ სახეცვლილი ბუნებრივი ელემენტების, ბუნებრივი და ანთროპოგენული ლანდშაფტების ბალანსის შენარჩუნების რეკომენდაციები;

10.5. ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების ქსელის (მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, საზღვაო ჰიდრომეტეოროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, თოვლსაზვავე, გლაციოლოგიური, აეროლოგიური, რადიოლოკაციური, ოზონომეტრული, აქტინომეტრული, წყალბალანსური სადგურები/საგუშაგოები, ატმოსფერული ჰაერის, ატმოსფერული ნალექების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ზღვის, ზღვის წყლის ბიოტის, ნიადაგების დაბინძურებაზე დაკვირვების პუნქტების) მონაცემები, მათი ანალიზი, შეფასება, პროგნოზირებისა და გაფრთხილებების მექანიზმები, აგრეთვე რეკომენდაციები მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებული არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების ტექნიკური საშუალებებისა და გასტარებული სამუშაოების შესახებ;

10.6. სტიქიურ-კატასტროფული პროცესების მონაცემებზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტის დარაიონება მოვლენების განმეორებადობის სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით გრძელვადიან პროგნოზთან მიმართებაში;

10.7. „მდგრადი განვითარების“ სტრატეგიასთან დაკავშირებული მოქმედებათა პროგრამა-რეკომენდაციები;

10.8. სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონებში და მიმდებარე ტერიტორიებზე მიწათსარგებლობის პრინციპები;

გრაფიკული ნაწილი:

10.9. სტიქიურ-კატასტროფული საშიშროებების ადგილების რუქები გრძელვადიანი პროგნოზით მათი გავრცელების არელების კონტურების ჩვენებით;

10.10. წყალსატევებისა და მდინარეების ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის სქემები;

10.11. სანაპირო ზონებში ჭარბი აკუმულაციის, ეროზიული უბნების, ჭარბი ნატანის, პლაჟების სტაბილიზაციისა და რეანიმაციის უბნების სქემები;

11. დაცული ტერიტორიების სისტემა:

ტექსტური ნაწილი:

11.1. დაცული ტერიტორიების კატეგორიების აღწერა/დახასიათება, მათ შორის: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია;

11.2. დაცული ტერიტორიების „მართვისა“ და ტურისტებით დატვირთვის რეჟიმის რეკომენდაციები;

11.3. დაცული ტერიტორიებისა და მიმდებარე ტერიტორიების მიწათსარგებლობის რეკომენდაციები;

გრაფიკული ნაწილი:

11.4. დაცული ტერიტორიების საზღვრების რუქები კატეგორიების მიხედვით;

11.5. დაცული ტერიტორიების სტატუსის პოტენციალი მქონე ტერიტორიების სქემები;

12. სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიები:

ტექსტური ნაწილი:

12.1. სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების (მათ შორის სავარგულების) დახასიათება სახეობების მიხედვით;

12.2. კლიმატური (მათ შორის მიკროკლიმატური) პირობების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განვითარების პოტენციალი;

12.3. სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების პოტენციალი;

12.4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიების მიწათსარგებლობის ასპექტები;

გრაფიკული ნაწილი:

12.5. სოფლის მეურნეობის განვითარების რუქები;

12.6. სასოფლო სამეურნეო დარგების (მათ შორის ტრადიციული და ახალი) განვითარების პოტენციალის მქონე ტერიტორიების რუქები;

12.7. კლიმატური (მათ შორის მიკროკლიმატური) პირობების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განვითარების ტერიტორიების რუქები;

13. სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიები:

ტექსტური ნაწილი:

13.1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყეების დახასიათება, მათ შორის: ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობის, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე;

13.2. მუნიციპალიტეტის ტყის ფონდისა და რესურსების მონაცემები, მათ შორის:

13.2.1. სახელმწიფო და ტყის ფონდი;

13.2.2. სახელმწიფო და სამეურნეო ტყის ფონდი;

13.2.3. ადგილობრივი ტყის ფონდი;

13.2.4. საკუთრების სხვა ფორმებით არსებული ტყეები;

13.3. ტყეების მოვლის, დაცვის და აღდგენის, ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი, კულტურული, რეკრეაციული და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების მქონე ტყეების შენარჩუნებისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების ღონისძიებების რეკომენდაციები;

13.4. თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვათა ჰარმონიული ურთიერთგავლენის რეგულირების რეკომენდაციები;

13.5. მუნიციპალიტეტის და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ტყის რესურსების მიზნობრივი, კომპლექსური და რაციონალური გამოყენების ორგანიზებისა და რეგულირების რეკომენდაციები;

13.6. ტყის ფონდის მდგრადი წარმართვის ძირითადი პრინციპები;

13.7. მეთესლეობის საქმის ორგანიზაცია და განვითარების, სარგავი მასალის გამოყვანის, ტყის კულტურების, ვარჯშეუკვრელი კულტურების, დაცვითი ნარგავების განვითარების წინადადებები;

13.8. ნიადაგის დაცვის მიზნით გაშენებული მერქნიან მცენარეთა ნარგავების – დაცვითი ნარგავების განვითარების რეკომენდაციები;

13.9. ტყეებისა და მიმდებარე ტერიტორიების მიწათსარგებლობის პრინციპები;

გრაფიკული ნაწილი:

13.10. ტყის ფონდის საზღვრების რუქები კატეგორიების მიხედვით, მათ შორის: სახელმწიფო ტყის ფონდი; სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი; ადგილობრივი ტყის ფონდი;

13.11. ნიადაგის დაცვის მიზნით გაშენებული მერქნიან მცენარეთა ნარგავების – დაცვითი ნარგავების განთავსება/განვითარების ადგილების სქემები;

13.12. სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიების რუქები;

14. წიაღისეულის მოპოვების ადგილები:

ტექსტური ნაწილი:

14.1. მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის აღწერა/დახასიათება, მათ შორის: გენეტიკური ტიპები, მათი გავრცელების გეოგრაფიული არეალები და შესწავლილობის ხარისხი;

14.2. სასარგებლო წიაღისეულის გამოვლინებები;

14.3. სასარგებლო წიაღისეულის პოტენციალი და მათი მოპოვების პერსპექტივა;

14.4. სასარგებლო წიაღისეულის ცალკეული სახეობის ეკონომიკური შეფასება, ბაზარზე არსებულ კონიუნქტურასთან მათი შესაბამისობის ხარისხის დადგენა;

14.5. წიაღისეულის ისეთი უბნების, რომლებიც არ არის დაკავშირებული წიაღის მოპოვებასთან მიწათსარგებლობის რეკომენდაციები;

გრაფიკული ნაწილი:

- 14.6. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების კონტურების რუკები;
- 14.7. სასარგებლო წიაღისეულის გამოვლინებების ადგილების რუკები;
- 15. წყლის ობიექტები და წყალშემკრები ტერიტორიები:

ტექსტური ნაწილი:

- 15.1. წყლის ობიექტების და წყალშემკრები ტერიტორიების შეფასება მდინარეების და შიდა წყალსატევების ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური რესურსები, წყლის ეკოსისტემების სხვადასხვა კომპონენტები;
- 15.2. წყაროსთავების, წყალსატევების, მდინარეების და სათავეების, მიწისქვეშა წყლების ხარისხი, რესურსები და მარაგები, აგრეთვე ცვლილებების დინამიკა;
- 15.3. წყლის ფონდის აღდგენის, დაცვის, განვითარებისა და რეგულირების რეკომენდაციები;
- 15.4. წყალსარგებლობის (მათ შორის სპეციალური) რეკომენდაციები;
- 15.5. წყლის ობიექტებისა და წყალშემკრები ტერიტორიების, აგრეთვე მათ მიმდებარე ზონებში მიწათსარგებლობის პრინციპები;

გრაფიკული ნაწილი:

- 15.6. წყალდაცვითი ზოლებისა და სანიტარიული დაცვის ზონების რუკები;
- 16. საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიები (მაგ: გამწვანების სისტემები, ზღვისა და მდინარეების პლაჟები, ტერიტორიები ტურისტული მიზნებისათვის და სხვა);
- 17. თავდაცვის მიზნებისათვის გამოყენებული ტერიტორიები:

გრაფიკული ნაწილი:

- 17.1. თავდაცვის მიზნებისათვის და სამხედრო დანიშნულების ტერიტორიების რუკები;
- 17.2. სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების რუკები.
- 18. განვითარების პრიორიტეტები, მიზნები და სტრატეგია:

 - 18.1. განვითარების პრიორიტეტები;
 - 18.2. განვითარების მიზნები;
 - 18.3. განვითარების სტრატეგია;

- 19. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით მოქმედი და დაგეგმილი მსხვილმაშტაბიანი პროექტებისა და პროგრამების ინტეგრირებული მართვის რეკომენდაციები;
- 20. სივრცითი მოწყობის სქემის რეალიზების გარანტიის მექანიზმები, შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლების კონცეფცია;
- 21. მუნიციპალიტეტის განვითარების SWOT-ანალიზი;
- 22. მუნიციპალიტეტის სივრცითი-ტერიტორიული განვითარების შემაჯამებელი რეკომენდაციები.